შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/83

თბილისი **“ 05 “ ნოემბერი 2018 წ.**

გთუნი-ს ბიბლიოთეკაში სტაჟირების გავლის მსურველთათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთუნი–ს წესდების მე–5 მუხლის, გთუნი-ს სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის მე-6 მუხლის და ბიბლიოთეკის გამგის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 05 ნოემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტაჟირების მსურველთათვის 6 (ექვსი) თვის ვადით.

2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2018 წლის 05 ნოემბრიდან 2018 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი და გასაუბრება ჩატარდება 2018 წლის 19 ნოემბერს. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 20 ნოემბერს.

3. კონკურსის საფუძველზე გთუნი-ს ბიბლიოთეკაში არჩეული იქნება 2 სტაჟიორი.

4. სტაჟიორად მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მესამე ან მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი ან აქვს უმაღლესი განათლება და აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ
- ავტობიოგრაფია;
- დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- ერთი ფოტოსურათი (3X4);

6. კონკურსანტი უნდა იცნობდეს: უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, ბიბლიოთეკის დებულებას, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, იცოდეს კომპიუტერთან მუშაობა.

7. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას.

8. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი გიორგი მათიაშვილი